Crowdfunding_ის როლი სტარტაპ ეკოსისტემის განვითარების პროცესში და მისი გამოწვევები საქართველოში

ეკა ხვედელიძე

შალვა ოთანაძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიებისა და განათლების ფაკულტეტზე ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

ბიზნესის ადმინისტრირება (მენეჯმენტი)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: გიორგი აბაშიშვილი

ასოცირებული პროფესორი

ილიაუნის ბიზნესის სკოლა

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2020

განაცხადი

როგორც წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომის ავტორები, ვადასტურებთ, რომ ნაშრომი არ შეიცავს სხვა ავტორების აქამდე გამოქვეყნებულ, დასაცავად წარდგენილ ან გამოსაქვეყნებად მიღებულ მასალებს, რომლებიც მასში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული შესაბამისი წესების დაცვით და იგი წარმოადგენს ჩვენს ორიგინალურ ნამუშევარს.

ეკა ხვედელიძე 2020 წლის 20 ივნისი

შალვა ოთანაძე

აბსტრაქტი

Crowdfunding ალტერნატიული ფინანსური რესურსების მოზიდვის ახალი გზაა ნებისმიერი სახის სამეწარმეო აქტივობისთვის, რომლის მიზანიც ახალი და ინოვაციური პროდუქტის/სერვისის შექმნაა. ამ გზით სტარტაპებს ეძლევათ უნიკალური შანსი, ინტერნეტტექნოლოგიური კომუნიკაციების გამოყენებით ფართო აუდიტორიიდან მოიზიდონ საჭირო დაფინანსება.

საქართველოში სტარტაპ ეკოსისტემაში ფინანსური ინსტრუმენტებისა და ინვესტიციების მხრივ არც თუ ისე სახარბიელო მდგომარეობაა. აღნიშნული ვითარება განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ისეთ ალტერნატიულ ფინანსებზე ხელმისაწვდომობას, როგორიც crowdfunding_ია. ის ფაქტი, რომ აღნიშნული მექანიზმი შედარებით ახალი ფენომენია და მასზე ფაქტიურად საქართველოში არ არსებობს არანაირი აკადემიური კვლევა, განსაკუთრებულ ყურადღებას და დამატებით კვლევებს საჭიროებს.

აღნიშნული ნაშრომი გვთავაზობს ფართო ლიტერატურულ მიმოხილვას Crowdfunding-ის თემის გარშემო, მისი წარმოშობის, ევოლუციისა და მიმდინარე ტენდენციების შესახებ, უზრუნველყოფს კონტექსტუალიზაციას საქართველოში არსებულ მდგომარეობასთან დაკავშირებით, განიხილავს ქვეყანაში მის ძირითად გამოწვევებსა და შემაფერხებელ ფაქტორებს, ასევე აანალიზებს crowdfunding პერსპექტივებისა და საზოგადოებაში სამომხმარებლო ქცევის კონცეპტუალურ საფუძვლებს.

ძირითადი საძიებო სიტყვები: crowdfunding, სახალხო დაფინანსება, სტარტაპი, სტარტაპ-ეკოსისტემა, დაფინანსება.

Abstract

Crowdfunding is a new way to attract alternative financial resources for any type of entrepreneurial activity aimed to create a new and innovative product or service. This way, startups are given a unique opportunity to attract the necessary funding from a wide audience using Internet communications technology.

In terms of financial instruments and investments, the situation for the startup ecosystem is not favorable in Georgia. This makes it even more important to have an access to alternative fundings, such as crowdfunding. The fact that this mechanism is a relatively new phenomenon and there is virtually no academic research on it in Georgia requires special attention and additional research.

This paper provides a comprehensive literary overview of the Crowdfunding community, its origins, evolution and current trends, providing contextualization of the situation in Georgia, discussing its main challenges and obstacles in the country, and analyzes crowdfunding perspectives and consumerism in society.

Keywords: crowdfunding, public funding, startup, startup ecosystem, funding.

მადლობა

მადლობას ვუხდით სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნეს სკოლის ასოცირებულ პროფესორს, ბატონ გიორგი აბაშიშვილს, რომელმაც უდიდესი დახმარება გაგვიწია საკვლევი თემის დიზაინის ფორმულირებასა და ნაშრომის სტრუქტურულ სრულყოფაში.

ასევე, მადლობას ვუხდით კვლევაში მონაწილე ჩვენს რესპოდენტებს, რომელთა დახმარებითაც მივიღეთ კვლევის მიზნებთან რელევანტური შედეგები.